სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
20.09.2017 № 173

თბილისი

სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამების სტუდენტებისათვის 2017-2018 სასწავლო წლის სასწავლო განრიგის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ბატონი კენეთ უოლშის 2017 წლის 06 სექტემბრის №SDSU 147-09-2017 წერილის საფუძველზე, 2017-2018 სასწავლო წლის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. 2017-2018 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი) ჩაითვალოს დაწყებულად 2017 წლის 18 სექტემბრიდან და გაგრძელდეს 2017 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით;
   დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2017 წლის 18 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
2. 2017-2018 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ჩატარდეს 2018 წლის 22 იანვრიდან 11 მაისის ჩათვლით;
   დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 14 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
3. 2017-2018 სასწავლო წლის ზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) ჩატარდეს 2018 წლის 01 ივნისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით;
   დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 20 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით. დამატებითი გამოცდები დაინიშნება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად;
4. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ჩატარდება მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. №5, მესამე სართული, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს

დეკანატი (საკონტაქტო ტელეფონი: 2 311 611);

5. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები შეიტანოს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე);
6. სემესტრის ბოლოს, არა უგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას და არსებული წესის მიხედვით გადასცემს დეკანატს;
7. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს, სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები სემესტრის ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
9. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი **ა. ფრანგიშვილი**

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი **ი. ლომიძე**

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი **ბ. მაისურაძე**